

Image not found or type unknown

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ საია-ს საარჩევნო დავაზე მნიშვნელოვანი განსხვავებული აზრი დაწერა

2021 წლის არჩევნების პირველ ტურზე, საია სადავოდ ხდიდა ბათუმის ოლქის №85 უბნის შედეგებს და მოითხოვდა ბათილი ბიულეტენების ხელახლა გადათვლას. ამგვარი მოთხოვნის დაყენების საფუძველს ქმნიდა ის გარემოება, რომ ხმის დათვლის დროს, საია-ს უბნის დამკვირვებელმა დააფიქსირა არაერთი შემთხვევა, როდესაც ნამდვილად ჩასათვლელი ბიულეტენები (რომლებზეც იკვეთებოდა ამომრჩევლის ნება) საუბნო საარჩევნო კომისიამ ბათილად მიიჩნია. საია-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა არც ოლქის და არც პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ. უარის თქმის არგუმენტად ოლქი და სასამართლო მიუთითებენ, რომ სადავო ბიულეტენების ნამდვილ ან ბათილ ბიულეტენად მიჩნევა საუბნო საარჩევნო კომისიის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს და არ არსებობს ამგვარი გადაწყვეტილების გადასინჯვის სამართლებრივი საფუძველი.

ამ საარჩევნო დავაზე საია-ს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, ხათუნა ხომერიკი არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობის მოსაზრებას და განსხვავებულ აზრში მნიშვნელოვანი განმარტებები განავითარა. მოსამართლემ ბიულეტენის ბათილად მიჩნევის საკითხზე მსჯელობისას განმარტა, რომ **საარჩევნო კოდექსის 69.3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის ჩანაწერი - „შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა“ - შეფასებითია და კომისია ამ შედეგამდე გონივრული განსჯის შედეგად უნდა მივიდეს, რა დროსაც მხედველობაში მისაღებია 147.4-147.5 მუხლების დათქმა, რომ ამომრჩეველი შემოხაზავს არა უმეტეს 1 სუბიექტის რიგით ნომერს, თუმცა ეს ნორმა არ გამოდგება ამომრჩევლის ნების შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად (მაგ. როცა ამომრჩეველი თავის ხმას დააფიქსირებს არა რიგითი ნომრის, არამედ თვით კანდიდატის ან პარტიის დასახელების შემოხაზვით, ეს ვერ იქნება განხილული ბათილ ბიულეტენად). „ნორმის სხვაგვარი განმარტება ეწინააღმდეგება საარჩევნო**

